საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/3422
17/09/2024

3422-01-2-202409171137

გიგა გიგაურს (პ/ნ 43001023260)
მის: ქ. ქარელი კ.მარჯანიშვილის ქ. N4.
ელ-ფოსტა: gigagigauri778989@gmail.com

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 25 ივნისის №04/559 ბრძანებით, სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის, ფ/პ გიგა გიგაურის (პ/ნ 43001023260) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის" (შემდგომში - პროცედურა) მე-14 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად უფლებამოსილია:

ა) საქმის შესწავლის მიზნით განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვოს ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაცია);
ბ) საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შესახებ;

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად, საქმის შესწავლის მიზნით, განმეორებით გთხოვთ, პროცედურის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წარმოგვიდგინოთ:

- მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს, რომ თქვენ მიერ გაყიდული სამიზნე არის ორიგინალი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი